

თომას ჰობსი

THOMAS HOBBES

ლევიათანი

LEVIATHAN

ქართული თარგმანი:

დიმიტრი უჩანეიშვილი

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2025



მწერალთა
სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა
სახლის თანადაფინანსებით

ითარგმნა გამოცემის მიხედვით:

Thomas Hobbes, *Leviathan*

Cambridge University Press, 2003

ISBN: 0-521-39641-7

თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან

პირველი ქართული თარგმანი

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი

რედაქტორი: გიორგი თავაძე

კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი

დიზაინი: ნიკა ჯიბლაძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025

ვებგვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-8313-2

სარჩევი

მიძღვნა.....	8
შესავალი.....	11
ნაწილი I. აღაპიანის შესახებ.....	14
I თავი. შეგრძნების შესახებ.....	14
II თავი. წარმოსახვის შესახებ.....	16
III თავი. წარმოდგენათა თანმიმდევრობის, ანუ კავშირის შესახებ.....	22
IV თავი. მეტყველების შესახებ.....	27
V თავი. განსჯისა და მეცნიერების შესახებ.....	36
VI თავი. ნებაყოფლობითი მოძრაობების შინაგანი საწყისების.....	44
შესახებ, რომლებსაც ზოგადად ვნებები ეწოდება და იმ.....	44
სიტყვების შესახებ, რომლებითაც ისინია გამოხატული.....	44
VII თავი. განსჯის მიზნის, ანუ შედეგების შესახებ.....	55
VIII თავი. სიქველეთა შესახებ, რომლებსაც,.....	59
ჩვეულებრივ, ინტელექტუალურს უწოდებენ,.....	59
და მათ საპირისპირო ნაკლოვანებათა შესახებ.....	59
IX თავი. ცოდნის განსხვავებულ საგანთა შესახებ.....	71
X თავი. ძლიერების, ღირებულების,.....	74
ღირსების, პატივისა და ღირსეულობის შესახებ.....	74
XI თავი. განსხვავება მანერებში.....	83
XII თავი. რელიგიის შესახებ.....	90
XIII თავი. ბედნიერებასა და უბედობასთან მიმართებით.....	103
კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ.....	103
XIV თავი. პირველი და მეორე ბუნებრივი.....	108
კანონებისა და ხელშეკრულებების შესახებ.....	108

XV თავი. სხვა ბუნებრივი კანონების შესახებ.....	119
XVI თავი. პიროვნებების, მარწმუნებლებისა.....	134
და განპიროვნებული საგნების შესახებ.....	134
ნაწილი II. სახელმწიფოს შესახებ.....	139
XVII თავი. სახელმწიფოს მიზეზების,.....	139
წარმოშობისა და განსაზღვრების შესახებ.....	139
XVIII თავი. სუვერენთა უფლებები ჩამოყალიბების საფუძველზე.....	144
XIX თავი. ჩამოყალიბების საფუძველზე.....	153
სახელმწიფოთა განსხვავებული სახეებისა და.....	153
უზენაესი ხელისუფლების მემკვიდრეობითობის შესახებ.....	153
XX თავი. მამობრივი და დესპოტური მმართველობის შესახებ.....	164
XXI თავი. ქვეშევრდომთა თავისუფლების შესახებ.....	173
XXII თავი. სისტემის პოლიტიკური.....	184
და კერძო ქვეშევრდომების შესახებ.....	184
XXIII თავი. უზენაესი ძალაუფლების.....	197
სახელმწიფო მოხელეების შესახებ.....	197
XXIV თავი. სახელმწიფოში გამოკვებისა და გამრავლების შესახებ.....	202
XXV თავი. რჩევის შესახებ.....	208
XXVI თავი. სამოქალაქო კანონების შესახებ.....	215
XXVII თავი. დანაშაულის, გამართლებისა.....	237
და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ.....	237
XXVIII თავი. სასჯელისა და ჯილდოს შესახებ.....	252
XXIX თავი. იმის შესახებ, თუ რა ასუსტებს.....	260
ან რა იწვევს სახელმწიფოს დაშლას.....	260
XXX თავი. სუვერენული წარმომადგენლის.....	271
ვალდებულებების შესახებ.....	271
XXXI თავი. ღმერთის ბუნებრივი სამეფოს შესახებ.....	286
ნაწილი III. ქრისტიანული სახელმწიფოს შესახებ.....	301
XXXII თავი. ქრისტიანული პოლიტიკის პრინციპების შესახებ.....	301
XXXIII თავი. წმინდა წერილის წიგნების რაოდენობის, სიძველის,.....	306
გავრცელების სფეროს, ავტორიტეტისა და განმმართველების შესახებ.....	306
XXXIV თავი. წმინდა წერილის წიგნებში „სულის“,.....	317
„ანგელოზისა“ და „ჩაგონების“ მნიშვნელობის შესახებ.....	317
XXXV თავი. წმინდა წერილში სიტყვების „უფლის სამეფო“, „წმინდა“,.....	331
„წმიდათაწმიდა“ და „საიდუმლოს“ მნიშვნელობის შესახებ.....	331

XXXVI თავი. უფლის სიტყვისა და წინასწარმეტყველთა შესახებ.....	339
XXXVII თავი. სასწაულებისა და მათი გამოყენების შესახებ.....	356
XXXVIII თავი. წმინდა წერილში „საუკუნო სიცოცხლის“, „ჯოჯოხეთის“, „ხსნის“, „მომავალი სამყაროსა“ და „გამოსყიდვის“ შესახებ.....	363
XXXIX თავი. წმინდა წერილში სიტყვა „ეკლესიის“.....	380
მნიშვნელობის შესახებ.....	380
XL თავი. უფლის სამეფოს უფლებების შესახებ აბრაამის,.....	383
მოსეს, მღვდელმთავრებისა და იუდეის მეფეთა დროს.....	383
XLI თავი. ჩვენი ნეტარი მაცხოვრის მსახურება.....	394
XLII თავი. საეკლესიო ძალაუფლების შესახებ.....	401
XLIII თავი. ის, რაც აუცილებელია ადამიანის.....	480
მისაღებად ზეციურ სასუფეველში.....	480
ნაწილი IV. წყვდიადის სამეფოს შესახებ.....	497
XLIV თავი. წმინდა წერილის მცდარი განმარტებიდან.....	497
გამომდინარე სულიერი წყვდიადის შესახებ.....	497
XLV თავი. დემონოლოგიისა და წარმართთა.....	524
რელიგიის სხვა გადმონაშთების შესახებ.....	524
XLVI თავი. ამაო ფილოსოფიისა და.....	546
ზღაპრული ტრადიციების წყვდიადის შესახებ.....	546
XLVII თავი. ასეთი წყვდიადიდან გამომდინარე.....	565
სარგებლისა და მის მიმღებთა შესახებ.....	565
შეჯამება და დასკვნა.....	576
ცნებათა სპიკერული.....	589

მკითხველის წინაშეა თომას ჰობსის „ლევიათანის“ პირველი სრული ქართულენოვანი გამოცემა, რომელიც მთარგმნელის – დიმიტრი უჩანეიშვილის – დიდი ძალისხმევის შედეგია. თარმანი განხორციელდა შემდეგი გამოცემის საფუძველზე: Thomas Hobbes, *Leviathan*. Cambridge University Press, 2003. ტექსტს თან ერთვის მთარგმნელისა და რედაქტორის შენიშვნები. სარედაქციო შენიშვნები ნაწილობრივ განხორციელდა ოქსფორდის გამოცემაზე დაყრდნობით. ტექსტის ნაკლებად გადატვირთვის მიზნით მოცემულ გამოცემაში ჰობსის ტექსტს თან არ ერთვის აბზაცის სათაურები.

„ლევიათანი“ დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტია. იგი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია იმით, რომ მასში ჰობსი ავითარებს მოძღვრებას, რომელსაც მოგვიანებით „საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია“ (social contract theory) ეწოდა. ამ თეორიის თანახმად, პოლიტიკური ძალაუფლების ჩამოყალიბება ადამიანთა შორის დადებულ ხელშეკრულებაზეა დამოკიდებული. ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ საწყისი დებულებიდან ბუნებრივად დემოკრატიული პრინციპები გამომდინარეობს, თუმცა ჰობსის შემთხვევაში ეს ასე არ არის და „ლევიათანი“ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ცნობილია, როგორც აბსოლუტური პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პირის, ანუ „სუვერენის“, როგორც მას ჰობსი უწოდებს, მმართველობის უფლების დასაბუთებისა და გამართლების მცდელობა.

ჰობსის „ლევიათანი“ მრავალმხრივი ნაშრომია. მასში მკითხველი იხილავს საინტერესო მსჯელობებსა და გამჭრიახ შენიშვნებს ადამიანის შეგრძნებების, ჩვენი ფსიქიკის, ადამიანური ვნებებისა და სიქველეების შესახებ. ის, ასევე, საკმაოდ პროვოკაციული ტექსტიცაა, რადგან მასში ჰობსი აყალი-

ჩემს ღრმად პატივცემულ მეგობარს, ბ-ნ ურენსის გოდოლფინს¹, გოდოლფინიდან

პატივცემულო ბატონო,

თქვენი ღრმად პატივცემული ძმა, ბ-ნი სიდნი გოდოლფინი², თავის სიცოცხლეში ერთობ აფასებდა ჩემს კვლევებს და ასევე, როგორც იცით, სხვაგვარადაც გამოხატავდა პატივს თავისი დადებითი აზრის ჭეშმარიტი მოწმობებით, რომლებიც თავისთავად ხომ დიდებულია, მაგრამ კიდევ უფრო დიდებულია მისი პიროვნების ღირსების გამო. არ არსებობს ისეთი სიტყველ, რომელიც ადამიანს უფლის, სამშობლოს ან სამოქალაქო საზოგადოებისადმი სამსახურის, ან პირადი მეგობრობისადმი განაწყობს და რომელიც მის საუბარში აშკარად არ იყოს გამოხატული არა როგორც აუცილებლობით შეძენილი ან შემთხვევით გამოვლენილი, არამედ როგორც თანდაყოლილი თვისება, რომელიც მისი ბუნების კეთილშობილურ აგებულებაში ბრწყინავს. ამიტომ მის პატივსაცემად და მისადმი მადლიერების ნიშნად, ისევე როგორც თქვენდამი ერთგულებიდან გამომდინარე, მოკრძალებით გიძღვნიო ჩემს ტრაქტატს სახელმწიფოს შესახებ. არ ვიცი, როგორ მიიღებს მას საზოგადოება და არც ის არ ვიცი, თუ როგორ აისახება ეს მათზე, ვინც, სავარაუდოდ, ამ ტრაქტატს მოწყალე თვალით შეხედავს. იმ გზაზე, რომლის ერთ მხარეს ისინი დგანან, ვინც ძალიან დიდი თავისუფლებისთვის იბრძვიან,

1. ფრენსის გოდოლფინი (1605-1667 წწ.) – ინგლისელი დიდებული და პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი – რედაქტორის შენიშვნა.

2. სიდნი გოდოლფინი (1610-1643 წწ.) – ინგლისელი პოეტი, სამოქალაქო ომის დროს მეფის არმიაში იბრძოდა და ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიღუპა, ფრენსის გოდოლფინის ძმა – რედაქტორის შენიშვნა.

შესავალი

ადამიანის *ხელოვნება* ბუნებას (ხელოვნება, რომლის მეშვეობითაც ღმერთმა შექმნა სამყარო და მართავს მას) ისევე, როგორც სხვა მრავალ რამეში, იმაშიც ჰბაძავს, რომ ხელოვნური ცხოველის შექმნა შეუძლია. რადგან, თუ სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა კიდურების მოძრაობა, რომლის საწყისი რომელიღაც ძირითად შინაგან ნაწილშია, რატომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა *ავტომატს* (მანქანა, რომელიც ზამბარებისა და ბორბლების მეშვეობით მოძრაობს, როგორც საათი) გააჩნია ხელოვნური სიცოცხლე? რადგან, რა არის *გული*, თუ არა *ზამბარა*, ხოლო *ნერვები* – *სიმებიები*, *სახსრები* კი *ბორბლები*, რომლებიც მთელ სხეულს ამოძრავებს ისე, როგორც ეს ოსტატმა განიზრახა? *ხელოვნება* კიდევ უფრო შორს მიდის, ჰბაძავს რა ბუნების ყველაზე გონივრულ და საუცხოო ქმნილებას – *ადამიანს*. ხელოვნების მეშვეობით არის შექმნილი დიადი ლევიათანი, რომელსაც ეწოდება თანამეგობრობა [Commonwealth], ანუ სახელმწიფო, ლათინურად – *Civitas*, რომელიც მხოლოდ ხელოვნური ადამიანია, თუმცა ის უფრო მაღალი და ძლიერია, ვიდრე ბუნებრივი ადამიანი, რომლის დასაცავადაც არის იგი შექმნილი და რომელშიც უმაღლესი *ხელისუფლება* მიკუთვნებული აქვს ხელოვნურ *სულს*, რომელიც სიცოცხლესა და მოძრაობას ანიჭებს მთელ სხეულს. *სამოქალაქო ხელისუფლების მოხელეები* ისევე, როგორც სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა *წევრები*, ხელოვნური *სახსრებია*; *ჯილდო* და *სასჯელი* (რომელთა მეშვეობითაც ყოველი სახსარი და ორგანო ხელისუფლებას არის მიბმული და იძულებულია, თავისი მოვალეობა შეასრულოს) – *ნერვებია*, რომლებიც იმავე ფუნქციებს ბუნებ-

რიც სხეულში ასრულებს; ყოველი ცალკეული წევრის ქონება და სიმდიდრე მის ძალას წარმოადგენს; *salus populi* (ხალხის უსაფრთხოება) მისი საქმეა; *მრჩევლები*, რომლებიც ყოველივე საჭიროს ჩააგონებენ მას, *მეხსიერებას* წარმოადგენენ; *სამართლიანობა* და *კანონები* ხელოვნური გონება და ნებაა; *თანხმობა* არის *ჯანმრთელობა*, *ამბოხება* – *დაავადება*, ხოლო *სამოქალაქო ომი* *სიკვდილია*; დაბოლოს, *შეთანხმებები* და *ხელშეკრულებები*, რომელთა მეშვეობითაც არის თავიდან ამ პოლიტიკური სხეულის ნაწილები შექმნილი, შეერთებული და დაკავშირებული, ჰგავს *განკარგულებას*, ანუ ღმერთის მიერ „დაბადებაში“ წარმოთქმულ ფრაზას: „შევქმნათ ადამიანი!“

ამ ხელოვნური ადამიანის ბუნების აღსაწერად მე ვითვალისწინებ:

პირველი – მასალას, რომლისგანაც არის ის შექმნილი, და ოსტატს, რომელიც ორივე შემთხვევაში ადამიანია;

მეორე – იმას, თუ როგორ და რა შეთანხმებების საფუძველზეა იგი შექმნილი; რა უფლებები და სამართლიანი ძალაუფლება გააჩნია სუვერენის ავტორიტეტს და რა ინარჩუნებს და ანადგურებს მას.

მესამე – იმას, თუ რას წარმოადგენს ქრისტიანული სახელმწიფო.

დაბოლოს, რას წარმოადგენს წყვედიადის სამეფო.

პირველთან დაკავშირებით არსებობს გამოთქმა, რომელსაც ბოლო დროს ხშირად იყენებენ და, რომლის თანახმად, *სიბრძნის* შეძენა ხდება არა წიგნების კითხვით, არამედ *ადამიანების* წაკითხვით. შედეგად, ის ადამიანები, რომლებსაც უმეტესწილად საკუთარი სიბრძნის სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა არ ძალუძთ, დიდ სიამოვნებას იღებენ იმის ჩვენებით, რაც, მათი აზრით, სხვა ადამიანებში ამოიკითხეს, კიცხავენ რა უმოწყალოდ ერთმანეთს ზურგს უკან. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გამოთქმა, რომელიც ბოლო დროს აღარ ესმით, რომლითაც ისინი მართლაც შეძლებდნენ ერთმანეთის წაკითხვას, თუ ეცდებოდნენ. ეს გამოთქმაა *nosce te ipsum* – შეიცანთ თავი შენი, რომელიც სულაც არ ნიშნავდა იმას, რა აზრითაც ეს ფრაზა დღეს გამოიყენება, კერძოდ, არც დაქვემდებარებულთა მიმართ ძალაუფლებაში მყოფების ბარბაროსული დამოკიდებულების მოწონებას და არც დაბალ საფეხურზე მდგომთა წაქეზებას ზემდგომებთან დასაპირისპირებლად, არამედ იმის სწავლებას, რომ ერთი ადამიანის აზრებისა და ვნებების სხვა ადამიანის აზრებთან და ვნებებთან მსგავსებიდან გამომდინარე, ყოველი, ვინც საკუთარ თავს ჭვრეტს და აცნობიერებს, თუ რას აკეთებს, როდესაც ფიქრობს, განიამრებს, მსჯელობს, იმედოვნებს, ეშინია და ა.შ. და რა მოტივებით აკეთებს ამას, ამგვარად შეძლებს ამოიკითხოთ და გაიგოს, თუ რა აზრები და

ნაწილი I. ადამიანის შესახებ

I თავი. შეგრძნების შესახებ

ადამიანის აზრებს რაც შეეხება, პირველად მათ განცალკევებით განვიხილავ და მხოლოდ შემდეგ – თანმიმდევრობაში ან ერთმანეთზე დამოკიდებულებაში. განცალკევებით ყველა მათგანი არის რაიმე თვისების ან ჩვენ მიღმა არსებული რაიმე სხეულის სხვა აქციდენციის წარმოდგენა ან ხატი, სხეულისა, რომელსაც, ჩვეულებრივ, ობიექტი ეწოდება. ობიექტი მოქმედებს ჩვენს თვალეზზე, ყურეზზე და სხეულის სხვა ნაწილებზე და მოქმედების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ქმნის განსხვავებულ ხატებს.

ყველა მათგანის საწყისია ის, რასაც ჩვენ შეგრძნებას ვუწოდებთ (რადგან არ არსებობს ცნება ადამიანის გონებაში, რომელიც თავდაპირველად, სრულად ან ნაწილობრივ, შეგრძნების ორგანოებით არ იყოს შობილი). დანარჩენები მისგან არის წარმოებული.

შეგრძნების ბუნებრივი მიზეზის ცოდნა ჩვენ მიერ განსახილველი საკითხის გასაგებად დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამის შესახებ სხვა ადგილას მრავალი ვთქვი. მიუხედავად ამისა, ჩემი მეთოდის ყოველი ნაწილის სისრულისთვის იქ ნათქვამს მოკლედ გადმოვცემ.

შეგრძნების მიზეზი არის გარე სხეული ან ობიექტი, რომელიც ყოველი შეგრძნების შესაბამის ორგანოს აწვება უშუალოდ, როგორც ეს გემოს შეგრძნებისა და შეხებისას ხდება, ან გაშუალებულად, როგორც ეს ხედვის, სმენისა და ყნოსვის დროს ხდება. ეს დაწოლა ნერვებისა და სხეულის სხვა ბოჭკოებისა და მემბრანების მეშვეობით ტვინსა და გულს გადაეცემა, სადაც

ის წინააღმდეგობას, ანუ საპირისპირო წნევას, ანუ გულის გათავისუფლების ძალისხმევას ხვდება. ეს ძალისხმევა კი გარეთ არის მიმართული და ამიტომ გარეგანად გვეჩვენება. სწორედ ამ ხატს, ანუ წარმოსახვას, უწოდებს ადამიანი *შეგრძნებას*. თვალისთვის ის *სინათლის* ან *ფერისგან* შედგება, ყურისთვის – *ბგერისგან*, ნესტოებისთვის – *სუნისგან*, ენისა და სასისთვის – *გემოსგან*, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილისთვის – *სითბოს*, *სიცივის*, *სიმყარის*, *სირბილისა* და სხვა თვისებებისგან, რომლებსაც ჩვენ *შეგრძნების* მიხედვით ვასხვავებთ. ყველა ე.წ. *გრძნობითი* თვისება ობიექტშია, რომელიც მათ იწვევს მატერიის სხვადასხვა მოძრაობით, რომლითაც ობიექტი ჩვენს ორგანოებს სხვადასხვა გზით აწვება. ჩვენში, რომლებიც ამ წნევას განვიცდით, ისინი სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვაგვარი მოძრაობა (რადგან მოძრაობა მხოლოდ მოძრაობას წარმოშობს). მაგრამ ჩვენ ისინი წარმოსახვის სახით გვევლინება როგორც სიფხიზლეში, ისე ძილში. და, მსგავსად იმისა, როგორც თვალზე დაწოლა, მისი მოფშვნე ან მასზე დარტყმა სინათლის წარმოსახვას გვიქმნის, ხოლო ყურზე დაწოლა – ხმაურისას, სხეულებიც, რომლებსაც ვხედავთ ან გვესმის, იმავეს წარმოქმნის თავისი ძლიერი, თუმცა შეუმჩნეველი მოქმედებით. რადგან, ეს ფერები და ბგერები რომ მათ გამომწვევ სხეულებსა და ობიექტებში იყოს, მათ ამ უკანასკნელებს ვერ მოვაშორებდით, როგორც ამას სარკის ანარეკლში ან ექოს გაგონებისას ვხედავთ, როდესაც ვიცით, რომ საგანი, რომელსაც ვხედავთ, ერთ ადგილასაა, ხოლო მისი ხატი – სხვა ადგილას. და, თუმცა გარკვეულ მანძილზე რეალური და ნამდვილი ობიექტი შესაძლოა ჩვენი წარმოსახვის ნაყოფად მოგვეჩვენოს, ობიექტი ერთია, ხოლო ხატი ან წარმოსახვა – სხვა. ამგვარად, შეგრძნება ყველა შემთხვევაში მხოლოდ საწყისი წარმოსახვაა, გამოწვეული (როგორც უკვე ვთქვი) დაწოლით, ანუ გარეგანი საგნების ზემოქმედებით ჩვენს თვალებზე, ყურებზე და ამისთვის განკუთვნილ სხვა ორგანოებზე.

მაგრამ სქოლასტიკოსი ფილოსოფოსები, არისტოტელეს გარკვეულ შრომებზე დაყრდნობით, ქრისტიანული სამყაროს უნივერსიტეტების მეშვეობით განსხვავებულ მოძღვრებას ქადაგებენ. მხედველობის მიზეზის შესახებ ისინი ამბობენ, რომ ხილული საგანი ყოველ მხარეს გზავნის *visible species*-ს, რაც ინგლისურად ნიშნავს *გარეგნულ ხილვადობას*, *მოჩვენებას* [apparition], *ასპექტს* ან *ხილულობას*, რომლის თვალში შეღწევა არის კიდევ მხედველობა. სმენის მიზეზის შესახებ კი ამბობენ, რომ გაგონილი საგანი გზავნის *audible species*-ს, ანუ *გასაგონ ასპექტს*, ანუ *სმენადობას*, რომელიც ყუ-